

**2024 წლის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი
სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო
სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსში მონაწილე პროექტებისათვის
დაფინანსების განაწილების წესი**

§ 1. პროექტის და ღონისძიების შეფასების შესახებ.

1. კონკურსის პირობებთან შესაბამისობაში მყოფი პროექტები ფასდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №179/ნ-ის დანართით განსაზღვრული საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.
2. სამეცნიერო კვლევითი პროექტები და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზების პროექტები გადაეცემა კომისიას, რომელიც მათ შეაფასებს სათანადო ქულებით.

§ 2. კონკურსის ბიუჯეტის განაწილება ლოტების მიხედვით.

1. n_1 -ით აღინიშნება პირველ ლოტში (საქართველოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები) შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების განხორციელება) დარეგისტრირებული იმ პროექტების რაოდენობა, რომლებიც შეფასებულია **11**-ზე მეტი ან ტოლი ქულით. n_2 -ით აღინიშნება მეორე ლოტში (საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება: კონფერენციები, კონგრესები, ფორუმები, სიმპოზიუმები) დარეგისტრირებული იმ პროექტების რაოდენობა, რომლებიც შეფასებულია **32**-ზე მეტი ან ტოლი ქულით. n_3 -ით აღინიშნება აგრეთვე მეორე ლოტში (საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება: სეზონური სკოლები) დარეგისტრირებული იმ პროექტების რაოდენობა, რომლებიც შეფასებულია **32**-ზე მეტი ან ტოლი ქულით.

2. ავლნიშნოთ

$$N = 6n_1 + 4n_2 + 3n_3 .$$

3. თითოეული ლოტისათვის განისაზღვრება კოეფიციენტი შემდეგი ფორმულით:

$$k_1 = \frac{6n_1}{N} , \quad k_2 = \frac{4n_2 + 3n_3}{N} .$$

4. თითოეული ლოტისათვის განისაზღვრება ბიუჯეტი შემდეგი ფორმულით:

$$b_1 = k_1 \cdot B, \quad b_2 = k_2 \cdot B,$$

სადაც B არის კონკურსის ბიუჯეტი, ხოლო b_1 და b_2 არის შესაბამისად პირველი და მეორე ლოტების ბიუჯეტები.

§ 3. II ლოტის ბიუჯეტის განაწილება ღონისძიებებს შორის.

1. - საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება: კონფერენციები, კონგრესები, ფორუმები, სიმპოზიუმები- ამ მიმართულებით დარეგისტრირებული პროექტებისათვის განისაზღვრება კოეფიციენტი შემდეგი ფორმულით:

$$m_1 = \frac{4n_2}{4n_2 + 3n_3},$$

ხოლო ბიუჯეტი განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$s_1 = m_1 b_2.$$

საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება: სეზონური სკოლები- ამ მიმართულებით დარეგისტრირებული პროექტებისათვის განისაზღვრება კოეფიციენტი შემდეგი ფორმულით:

$$m_2 = \frac{3n_3}{4n_2 + 3n_3}$$

ხოლო ბიუჯეტი განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$s_2 = m_2 b_2,$$

სადაც, s_1 და s_2 არის საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ზემოაღნიშნული მიმართულებების ბიუჯეტები შესაბამისად.

§ 4. დაფინანსების წესი.

1. I ლოტისათვის კეთდება ქულების მიხედვით პროექტების რანჟირებული სია.
2. პირველ ლოტში ფინანსდება მხოლოდ 11-ზე მეტი ან ტოლი ქულით შეფასებული პროექტები შესაბამისი რანჟირებული სიის მიხედვით (ზემოდან ქვემოთ) სანამ ლოტისათვის განკუთვნილი ბიუჯეტი სრულად იძლევა პროექტის დაფინანსების საშუალებას.

3. II ლოტის ორივე მიმართულებისათვის ცალ-ცალკე კეთდება ქულების მიხედვით პროექტების რანჟირებული სიები.
4. მეორე ლოტის ორივე მიმართულებაში ფინანსდება მხოლოდ 32-ზე მეტი ან ტოლი ქულით შეფასებული ღონისძიებები, შესაბამისი რანჟირებული სიების მიხედვით (ზემოდან ქვემოთ) სანამ მიმართულებებისთვის განკუთვნილი ბიუჯეტი სრულად იძლევა ღონისძიების დაფინანსების საშუალებას.
5. r_1 -ით აღინიშნება თანხის ოდენობა, რომელიც დარჩება პირველ ლოტში ნაშთის სახით. r_2 -ით აღინიშნება თანხის ოდენობა რომელიც დარჩება მეორე ლოტის პირველი მიმართულებიდან (კონფერენციები, კონგრესები, ფორუმები, სიმპოზიუმები) ნაშთის სახით. r_3 -ით აღინიშნება თანხის ოდენობა რომელიც დარჩება მეორე ლოტის მეორე მიმართულებიდან (სეზონური სკოლები) ნაშთის სახით.

6. აღვნიშნოთ

$$R = r_1 + r_2 + r_3 ,$$

სადაც R არის თითოეულ ლოტში ნაშთის სახით დარჩენილი თანხათა ჯამი.

7. R თანხით ფინანსდება¹ დაფინანსების გარეშე დარჩენილი პროექტები, ლოტების მიუხედავად, რომლებიც აკმაყოფილებენ დაფინანსების მოპოვების აუცილებელ პირობას და რომლთა შეფასებაც პროცენტულად ნაკლებად იქნებიან გადახრილი შესაბამისი ლოტის მაქსიმალური² ქულისგან.
8. თანაბარი პროცენტული გადახრის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება იმ პროექტს, რომელიც პროცენტულად მაღალ ქულას დააგროვებს თანმიმდევრულად პირველ, შემდგომ მეორე და მესამე კრიტერიუმში. აღნიშნულ სამივე კრიტერიუმში თანაბარი მაჩვენებლების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება პროექტში ახალგაზრდა მეცნიერის ჩართულობას. თუ ამ მაჩვენებლითაც თანაბრობა ნარჩუნდება, მაშინ უპირატესობა ენიჭება პროექტს რომლის ბიუჯეტიც პროცენტულად უფრო მცირეა შესაბამისი ლოტის (თუ ის ეკუთვნის I ლოტს) ან შესაბამისი მიმართულების (თუ ის ეკუთვნის II ლოტს) მაქსიმალურ³ ბიუჯეტთან შეადრებით.

¹ რა თქმა უნდა თუკი R თანხა იძლევა პროექტის (პროექტების) სრულად დაფინანსების საშუალებას

² იგულისხმება 15 ქულა I ლოტისთვის და 45 ქულა II ლოტისთვის

³ იგულისხმება 60 000 ლარი I ლოტისთვის. 40 000 ლარი II ლოტის კონფერენციები, კონგრესები, ფორუმები, სიმპოზიუმები- ამ მიმართულებისათვის. 30 000 ლარი II ლოტის სეზონური სკოლები- ამ მიმართულებისათვის.

9. ზემოაღნიშნული პროცედურის შემდეგ, ნაშთის სახით დარჩენილი თანხა, რომელიც არ იქნება საკმარისი რიგით შემდეგი პროექტის დასაფინანსებლად, დაბრუნდება ფონდის ბიუჯეტში.